პროლეტარიებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

KOMUNISTI—

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

17 მარტი პარასკევი 1972 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან • № 64 (15277)

ШЕСТИДЕСЯТИЛЕТИЕ ВЕЛИКОГО ОКТЯБРЯ

СССР 50

ᲩᲐᲠᲘᲡᲬᲘ — ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲡᲐᲖᲠᲣᲜᲐᲕᲘ

ᲒᲐᲖᲦᲐᲤᲮᲣᲚᲘᲡ ᲔᲠᲗᲘ ᲓᲦᲔ ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲓᲐ, ᲛᲗᲔᲚᲘ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲓᲘᲓᲘᲐᲓ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐᲨᲘ ᲤᲐᲠᲗᲝᲓ ᲒᲐᲘᲨᲚᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲘᲡ 50 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲓᲘᲠᲘᲡᲔᲣᲚᲘ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ. ᲮᲣᲗᲬᲚᲘᲐᲜᲘ ᲒᲖᲘᲗ ᲕᲐᲓᲐᲛᲓᲔ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲛᲠᲔᲣᲚᲝ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲗᲐ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲔᲑᲛᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ ᲘᲛᲔᲠᲔᲑᲐ ᲓᲦᲔᲡ ᲕᲐᲓᲐᲛᲓᲔ ᲞᲠᲝᲒᲠᲔᲡᲘᲕᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲞᲠᲝᲒᲠᲔᲡᲘᲕᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲡ ᲓᲐᲜᲔᲠᲒᲕᲐᲡ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲘᲡ ᲞᲘᲠᲝᲑᲐᲨᲘ. ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲣᲚᲘ ᲙᲕᲚᲔᲕᲘᲡ ᲛᲘᲦᲬᲔᲕᲔᲑᲘ ᲓᲐᲛᲐᲯᲔᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲡᲐᲖᲠᲣᲜᲐᲕᲘ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ. ᲩᲕᲔᲜᲘ ᲒᲖᲘᲗ ᲛᲘᲓᲘᲗᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲔᲡᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲥᲕᲔᲨᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ ᲒᲐᲜᲚᲐᲒᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲔᲡᲘᲡ ᲞᲘᲠᲝᲑᲐ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

17 МАРТА ПЯТНИЦА 1972 ЦЕНА 2 КОП.

ГАЗЕТА ИЗДАНА С 3 ИЮНЯ 1920 ГОДА • № 64 (15277)

ᲒᲐᲖᲦᲐᲤᲮᲣᲚᲘᲡ ᲔᲠᲗᲘ ᲓᲦᲔ ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲓᲐ ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ

ᲮᲣᲗᲬᲚᲘᲐᲜᲘ ᲓᲐᲛᲙᲕᲠᲔᲚᲣᲠᲘ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ

ᲗᲔᲚᲐᲕᲘ. („კომ.“ კორ.). საკავშირო აღკკ ცენტრალური კომიტეტის მოწოდებამ — დაჯაუფლოთ ახალგაზრდობა ტექნიკურ პროფესიებს, — დიდი გამოხმაურება ჰპოვა თელავის რაიონის ნაფარეულის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში. მეურნეობას აქვს თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით აღჭურვილი მანქანა-ტრაქტორების პარკი, მაგრამ აქ განეცდიდნენ მექანიზატორთა კვალიფიციური კადრების ნაკლებობას.

მეურნეობის კომკავშირის კომიტეტის თაოსნობითა (კომიტეტის მდივანი ნ. ირეგმაშვილი) და დირექციის მხარდაჭერით აქ გაიხსნა ენსტიტუტის პროფესიასწავლებლის ფილიალი, რომელიც ერთწლიან კურსებზე ამზადებს სოფლის მეურნეობის მექანიზატორებს.

კურსები უზრუნველყოფილია სამეცადინო ოთახებით, მანქანების მატერიალური ნაწილებით, პლაკატებით, სქემებით და სხვა თვალსაჩინოებით; პრაქტიკული მეცადინეობისათვის გამოყოფილია სპეციალური მანქანები, მსმენელები იღებენ სტიპენდიას, სახელმძღვანელოებს, სპეცტანსაცმელს.

მასწავლებლები ინჟინერ-მექანიზატორები შ. დურგლიშვილი, ტ. ხოლუაშვილი, ფ. ნაცვლიშვილი უანრიანად უძღვებიან ახალგაზრდა მექანიზატორების მომზადების საქმეს. ისინი თანმიმდევრულად გადასცემენ საპროგრამო თეორიულ ცოდნას, პრაქტიკულად ამეცადინებენ მომავალ ტრაქტორისტებს, კომბაინერებს.

ფილიალმა პირველ და მეორე ნაკადზე უკვე მოამზადა 50 მექანიზატორი. კურსდამთავრებულები ტ. დაბრუნდაშვილი, ი. ქოცუაშვილი, შ. ომანაშვილი და სხვები მეურნეობაში უკვე წარმატებით მუშაობენ ტრაქტორისტებად.

სამი თვეა მუშაობს მესამე ნაკადის ჯგუფი, რომლის 30 მსმენელიდან 18 ქალიშვილია. მეურნეობის მოწინავე მუშა-ახალგაზრდებმა ნათელა ირემაშვილმა, თამარ მოსიაშვილმა, ნუნუ ახალაცაშვილმა, ნათელა მეფარიშვილმა, ქეთი სუხიტაშვილმა, მანანა ნაცვლიშვილმა, იზო ბალაშვილმა, ელისო დამადაევმა, ვაჟა ყველიაშვილმა, ბეგი დუშანიშვილმა და სხვებმა დიდი ინტერესი გამოიჩინეს ტექნიკისადმი. ისინი ახლა სწავლების ფრიადოსნები არიან.

ახლო-მომავალში ფილიალი მოამზადებს აგრეთვე მეორე და მესამე კლასის მექანიზატორებს.

ᲜᲣᲐᲚᲢᲔᲒᲝᲡ რაიონში თოსვას ერთ-ერთი პირველი ᲨᲔᲣᲓᲒᲔᲜᲔᲜ ᲒᲝᲒᲣᲗᲘᲡ ᲨᲔᲒᲝᲚᲢᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲗᲔᲡᲚᲔ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲖᲐᲢᲝᲠᲔᲑᲘ. 1.200 ᲰᲔᲥᲢᲐᲠᲘᲡ, რაც მეურნეობას უგირავს, ითესება კომბოსტო, ხახვი და სხვა ᲑᲝᲡᲢᲜᲔᲣᲚᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲔᲑᲘ, ასევე სიმინდი სამარცვლედ და სასილოსედ, ბარდა. ᲮᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: ᲑᲝᲡᲢᲜᲔᲣᲚᲘᲡ თესვა. ᲒᲝᲒᲣᲗᲘᲡ ᲑᲝᲡᲢᲜᲔᲣᲚ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲐᲗᲐ ᲗᲐᲗᲔᲡᲚᲔ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐᲨᲘ.

ᲤᲝᲢᲝ Გ. ᲒᲘᲠᲩᲐᲛᲘᲐᲡᲗᲘᲡ, (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ᲙᲐᲠᲘᲡᲬᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲑᲘ

ᲙᲐᲠᲘᲡᲬᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲖᲐᲢᲝᲠᲗᲐ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲦᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲬᲚᲘᲡ ᲛᲐᲠᲢᲘᲡ ᲠᲘᲪᲮᲕᲘᲗ ᲙᲐᲠᲘᲡᲬᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲖᲐᲢᲝᲠᲗᲐ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲦᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ ᲐᲯᲐᲛᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲡᲐᲛᲮᲠᲘᲡ ᲛᲔᲠᲕᲔᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ. ᲐᲠᲐᲛᲔᲠᲔᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲔᲡᲘᲕᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲞᲠᲝᲒᲠᲔᲡᲘᲕᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲡ ᲓᲐᲜᲔᲠᲒᲕᲐᲡ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲘᲡ ᲞᲘᲠᲝᲑᲐᲨᲘ. ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲣᲚᲘ ᲙᲕᲚᲔᲕᲘᲡ ᲛᲘᲦᲬᲔᲕᲔᲑᲘ ᲓᲐᲛᲐᲯᲔᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲡᲐᲖᲠᲣᲜᲐᲕᲘ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ. ᲩᲕᲔᲜᲘ ᲒᲖᲘᲗ ᲛᲘᲓᲘᲗᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲔᲡᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲥᲕᲔᲨᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ ᲒᲐᲜᲚᲐᲒᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲔᲡᲘᲡ ᲞᲘᲠᲝᲑᲐ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

17 МАРТА ПЯТНИЦА 1972 ЦЕНА 2 КОП.

ГАЗЕТА ИЗДАНА С 3 ИЮНЯ 1920 ГОДА • № 64 (15277)

ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲓᲔᲛᲘ

ᲮᲣᲗᲬᲚᲘᲐᲜᲘ ᲓᲐᲛᲙᲕᲠᲔᲚᲣᲠᲘ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲘ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲔᲚ ᲛᲔᲪᲐᲑᲔᲚᲗᲐ ᲓᲐᲖᲛᲐᲠᲔᲑᲘᲗ

ᲖᲔᲡᲢᲐᲤᲝᲜᲘ. მოსკოვის კაბელის ქარხანა „ელექტროპროვოდი“ ცნობილია არა მარტო საბჭოთა ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ. არამედ უცხოეთშიც. მისი პროდუქცია მსოფლიო სტანდარტების დონეზეა. ქარხანა „ელექტროპროვოდის“ კოლექტივთან მჭიდრო მეგობრობა აქვთ ზესტაფონელ მეკაბელეებს. მოსკოველი მეკაბელეები შეფობენ ზესტაფონელ თანამოსაქმეებს. შეფობა უფრო შინაარსიანი და საქმიანი. რომ ყოფილიყო, ზესტაფონის ქარხნის ხელმძღვანელობამ წერილით მიმართა სსრ კავშირის ელექტროტექნიკური მრეწველობის საგანგებო სამინისტროს კაბელის მრეწველობის მთავარი სამმართველოს უფროსს ა. ბიკოვს, რომელმაც გულდასმით მოუხმინა ზესტაფონელ ამხანაგებს. ამ წამოწყებას მიეძღვნა მთავარი სამმართველოს სპეციალური თათბირი და ეს საკითხი სამმართველოს სამუშაო გეგმაში შეიტანეს.

ამავე საკითხზე იმსჯელა ქარხანა „ელექტროპროვოდის“ პარტიულმა კრებამ, დასახა სათანადო ღონისძიებანი და ამის თაობაზე ზესტაფონელ მეკაბელეებს სპეციალური ბარათით აცნობა ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანმა ი. სადაკოვმა. მოსკოველები ზესტაფონელ მეკაბელეებს აღუთქვამენენ დახმარებას წარმოების ტექნიკურ სრულყოფაში, ხარისხის გაუმჯობესებაში, ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვაში, წარმოების ეფექტურობის ამაღლებაში. სტუკვას მალე სჯმე. მოპუკა. ᲯᲔᲠ ᲐᲘᲓᲔᲕ ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲨᲘ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲔᲚᲔᲑᲛᲐ ᲒᲐᲛᲝᲛᲖᲐᲕᲜᲔᲡ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲐᲪᲘᲐ ᲓᲐ ᲜᲐᲮᲐᲖᲔᲑᲘ ᲓᲐᲜᲐᲓᲒᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲓᲔᲠᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲢᲔᲥᲜᲝᲚᲝ�გᲘᲘᲡ ᲐᲛᲐᲦᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲠᲐᲪ 25 ᲦᲝᲜᲘᲡᲫᲘᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲜᲔᲠᲒᲕᲐᲡ ᲘᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲡ. ᲗᲝᲒᲔᲠᲘᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲚᲘ ᲖᲔᲡᲢᲐᲤᲝᲜᲔᲚᲘ ᲛᲔᲪᲐᲑᲔᲚᲔᲑᲘ ᲔᲡᲢᲣᲛᲠᲜᲔᲜ ᲓᲦᲘᲡᲗᲕᲘᲡ. ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲘᲜᲟᲘᲜᲘᲠᲘ ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘᲐ ᲓᲐ ᲙᲝᲜᲡᲢᲠᲣᲥᲢᲝᲠᲘ Ვ. ᲙᲝᲠᲜᲘ, ᲛᲬᲔᲜᲕᲐᲗᲐ ᲑᲠᲘᲒᲐᲓᲘᲠᲘ Ა. ᲙᲝᲜᲓᲠᲐᲨᲝᲕᲘ. ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲔᲚᲛᲐ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲛᲐ ᲙᲝᲜᲙᲠᲔᲢᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐ ᲒᲐᲣ�წᲘᲔᲡ ᲖᲔᲡᲢᲐᲤᲝᲜᲔᲚᲘ ᲛᲔᲪᲐᲑᲔᲚᲔᲑᲡ.

ᲨᲔᲤᲝᲑᲐ ᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ. ორივე ქარხნის კოლექტივები ემზადებიან სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის.

Ჯ. ᲫᲘᲝᲛᲙᲐᲫᲔ, „კომუნისტის“ საკ. კორ.

ᲓᲠᲝᲡ ᲒᲐᲣᲡ�წᲠᲔᲡ

ᲥᲝᲒᲣᲚᲔᲗᲘ. (საკ. კორ.). მეცხრე ხუთწლედის მეორე წლის შრომითს ვახტს წარმატებით აწევა ქობულეთის საკონსერვო ქარხნის კოლექტივი. მეკონსერვეებმა ადამდე შეასრულეს პირველი კვარტალის გეგმა. დაგალების გადამეტებით გამოშვებულია 56.200 მანეთის პროდუქცია. განსაკუთრებით დაწინაურდა საკონსერვო საამქროს (უფროსი მ. თხილაიშვილი). აქ პირველი კვარტალის დავალებას 163.500 პირობითი ქილა კონსერვით გადაეჭარბეს.

მეკონსერვეები ძალღონეს არ იშურებენ იმისათვის, რომ სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის აღსანიშნავად ნაკისრი გაზრდილი ვალდებულებები პირნათლად გაანაღდონ.

ᲠᲔᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲐᲨᲘ, ᲛᲝᲒᲒᲔᲒᲐᲨᲘ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ. პურის ქარხნებს მაღალხარისხოვანი ფქვილით შეუფერხებლად ამარაგებს № 1 წისქვილ-კომბინატის (დირექტორი ვ. ბერიაშვილი) კოლექტივი. კარგად მოწყობილი სოციალისტური შეჯიბრების შედეგად აქ მუდამ გადაჭარბებით ასრულებენ სახელმწიფო გეგმას. პროდუქციის რეალიზაციის ორი თვის დავალებას 532 ათასი მანეთით გადააჭარბეს, გეგმის გადამეტებით მომხმარებელს მიაწოდეს 1535 ტონა მაღალხარისხოვანი ფქვილი და 1910 ტონა კომბინირებული საკვები. წასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით პროდუქციის გამოშვების ტემპი ექვსი პროცენტით გაიზარდა.

მოწყობილობის მოცდენების შემცირებით შრომის ნაყოფიერების გადიდებით მნიშვნელოვნად შემცირეს პროდუქციის თვითღირებულება და ორი თვის მოგების გეგმა 106 პროცენტით შეასრულეს.

მეწისქვილეები კიდევ უფრო აძლიერებენ სოციალისტურ შეჯიბრებას, ანალ შრომითს საჩუქრებს უმზადებენ სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავს.

ᲛᲘᲜᲐᲗᲛᲝᲥᲛᲔᲓᲗᲐ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲔᲕᲘᲖᲘᲐ:

ᲐᲠ ᲓᲐᲕᲘᲨᲣᲠᲝᲗ ᲥᲐᲚ-ᲓᲦᲔ ᲣᲮᲕᲘ ᲛᲝᲡᲐᲕᲚᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲧᲕᲐᲜᲐᲓ

ᲬᲐᲚᲙᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲮᲐᲚᲪᲘᲮᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲥᲐᲠᲢᲝᲤᲘᲚᲔᲗᲐ ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲜᲘ

ᲪᲔᲜᲢᲜᲔᲠᲘ ᲙᲐᲠᲢᲝᲤᲘᲚᲘ, ᲛᲐᲨᲘᲜ ᲠᲝᲪᲐ ᲒᲔᲒᲛᲘᲗ ᲒᲐᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘᲐ 140 ᲪᲔᲜᲢᲜᲔᲠᲘ. Ბ. Ბ. ᲑᲣᲚᲣᲓᲝᲕᲘᲡ მემანდვრეობის ბრიგადა (სოფელ ჯინისის კოლმეურნეობა) ᲰᲔᲥᲢᲐᲠᲖᲔ მიიღებს 300 ᲪᲔᲜᲢᲜᲔᲠ ᲙᲐᲠᲢᲝᲤᲘᲚᲘᲡ ᲒᲔ�გᲛᲘᲗ ᲒᲐᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘ 120 ᲪᲔᲜᲢᲜᲔᲠᲘᲡ ნაცვლად.

რაიონში გადაწყვეტილია დანერგონ კარტოფილის მოვლა-მოყვანის კომპლექსური მექანიზაცია, რაც საშუალებას მისცემს მშრომელებს მოიწიონ უხვი მოსავალი შრომისა და სახსრების მინიმალური დანახარჯებით. წელს მექანიზებული რგოლები მოუვლიან 95 პროცენტ კარტოფილის ნათესებს. ავრანლოს მერძევეობა-მეკარტოფილეობის კოლმეურნეობის მექანიზატორებმა ა. ადამოვმა და დ. დემურჩევმა გადაწვიტეს 65 ᲰᲔᲥᲢᲐᲠᲘᲡ თვითეულ ᲰᲔᲥᲢᲐᲠᲖᲔ მიიღონ 180 ᲪᲔᲜᲢᲜᲔᲠᲘ კარტოფილი, ᲪᲔᲜᲢᲜᲔᲠ ᲰᲔᲥᲢᲐᲠᲘᲡ კარტოფილი, დანაბარჯონ 3 კაცსაათი და 6 მანეთი და 50 კაპიკი გეგმით გათვალისწინებული 8 მანეთისა და 54 კაპიკის ნაცვლად.

ᲬᲐᲚᲙᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲛᲔᲥᲐᲠᲢᲝᲤᲘᲚᲔᲑᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡᲗᲕᲘᲡ მიაყიდიან 25.500 ᲢᲝᲜᲐ ᲙᲐᲠᲢᲝᲤᲘᲚᲘᲡ ᲒᲔ�გᲛᲘᲗ გათვალისწინებული 19.400 ᲢᲝᲜᲘᲡ ნაცვლად. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა პროდუქციის სასაქონლო ხარისხის ამაღლებასა და შენარჩუნებას: სახელმწიფოსათვის ჩაბარებული კარტოფილის 95 პროცენტი სტანდარტული იქნება. განხორციელდება კარტოფილის დაავადებებთან ბრძოლის ღონისძიებანი.

ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲤᲐᲠᲗᲝᲓ გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება მეურნეობებს, ბრიგადებს, რგოლებს, ცალკეულ მუშებსა და კოლმეურნეებს შორის ხუთწლედის მეორე წელს კარტოფილის უხვი მოსავლის მოწევისათვის.

* * *

ᲡᲮᲕᲐ კულტურებთან ერთად ახალციხის რაიონის ეკონომიკაში შესამჩნევი ადგილი უკავია მეკარტოფილეობას. მოწინავე მეკარტოფილეთა სახელები, მათი ჯამოციდეა და მიღწევები ფართოდაა ცნობილი რესპუბლიკაში. ვალეს, ანის, ზეოთის კოლმეურნეობების, სხვილისის, ამამაღის, აწყურისა და წყალთბილის საბჭოთა მეურნეობების მეკარტოფილეებს ყოველწლიურად კარტოფილის უხვი მოსავალი მოჰყავთ და საზღვარგარეთ აპარებენ დოდაძალ ამ პროდუქციას.

ახალციხის რაიონის მეკარტოფილეებმა გაჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება საიუბილეო წელს კარტოფილის უხვი მოსავლის მოწევისათვის. მათ ვალდებულება აიღეს, გადადგნენ კარტოფილის ფართობები 1600 ᲰᲔᲥᲢᲐᲠᲐᲛᲓᲔ აგროტექნიკის წესების ზუსტად დაცვის, მოწინავეთა გამოცდილებისა და მეცნიერების მიღწევათა დანერგვის გზით, თვითეულ ᲰᲔᲥᲢᲐᲠᲖᲔ მიიღონ 150 ᲪᲔᲜᲢᲜᲔᲠᲘ კარტოფილი ᲪᲔᲜᲢᲜᲔᲠᲘ ᲰᲔᲥᲢᲐᲠᲘᲡ გეგმით გათვალისწინებული 135 ᲪᲔᲜᲢᲜᲔᲠᲘᲡ ნაცვლად, კარტოფილის წარმოება გაადიდონ 25 ათას ᲢᲝᲜᲐᲛᲓᲔ. კარტოფილის ნათესების თვითეული ᲰᲔᲥᲢᲐᲠᲘᲓᲐᲜ სახელმწიფო მიიღებს 70 ᲪᲔᲜᲢᲜᲔᲠ მოსავალს, სულ კი დამზადებული იქნება 12 ათასი ᲢᲝᲜᲐ ᲙᲐᲠᲢᲝᲤᲘᲚᲘ ᲒᲔ�გᲛᲘᲗ გათვალისწინებული 8.800 ᲢᲝᲜᲘᲡ ნაცვლად.

გადაწყვეტილია კარტოფილისათვის გამოპყონ ყველაზე საუკეთესო ნაკვეთები, მკვეთრად ამაღლონ მექანიზაციის დონე, ფართოდ გამოიყენონ კარტოფილისა-თესი და კარტოფილასაღები მანქანები, სანიმუშოდ მოუარონ ნათესებს, დროულად განახორციელონ მეცნიერთა მავნებლებისა და დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებანი, უზრუნველყონ მეცნიერთა კარგი განვითარება და მოიწიონ უხვი მოსავალი. ყოველივე ეს საშუალებას მისცემს რაიონის მშრომელებს 20 პროცენტით შეამცირონ პროდუქციის თვითღირებულება.

გადიდებული ვალდებულებანი იკისრეს აგრეთვე რაიონის ცალკეულმა მეურნეობებმა.

ᲐᲧᲬᲣᲠᲘᲡ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲓᲠᲝᲜᲘᲡ ᲛᲝᲠᲔᲣᲚᲘᲡᲐᲜᲐ ᲛᲔᲠᲫᲔᲒᲝᲑᲐᲗᲐ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲧᲬᲣᲠᲘᲡ ᲛᲔᲠᲫᲔᲒᲝᲑᲐ

ჰპრსიული ცხოვრება

საქმეში თუ ღრეად ჩავიხედავთ...

საქალაქო კომიტეტი და პირველადი პარტორგანიზაციები

ვირველადი პარტიული ორგანიზაცია ჩვენი პარტიის საფუძველია. ამიტომ კომუნისტური პარტია ყოველთვის დიდ ყურადღებას აქცევდა და აქცევს პირველადი პარტორგანიზაციების მუშაობის საარსებო საკითხების განხილვა. თვითეულ საკითხზე მიღებული ღონისძიების აუცილებლად შესრულების მიზნით ვცდილობთ, მის კონტროლი დავწესოთ მის განხორციელებაზე, განვამტკიცოთ იგი სათანადო ორგანიზატორული მუშაობით.

პირველადი პარტორგანიზაციების უკანასკნელი ანგარიშგებაარჩევნების შედეგად მნიშვნელოვნად განახლდა მათი მდივნების შემადგენლობა, ამასთან საგრძნობლად გაიზარდა უმაღლესი განათლების სპეციალისტთა და პარტიული მუშაობის გამოცდილების მქონე მუშაკთა რიცხვი. დღეისათვის პირველადი პარტიული ორგანიზაციების 110 მდივნიდან უმაღლესი განათლებით არის 66, უმაღლესდაუმთავრებელი, საშუალო, საშუალოდაუმთავრებელი განათლებით — 44 კაცი.

მთელი რიგი ღონისძიებები განვახორციელეთ პარტიული აქტივის ცოდნის დონის ასამაღლებლად. რეგულარულად ეწყობა ღონისძიებანი კადრების დახელოვნებისა და წრთობისათვის. საამისოდ ვიყენებთ მათი სწავლებისა და ინსტრუქტირების სხვადასხვა ფორმას, დახმარებას ვუწევთ პარტიული მუშაობის ფორმებისა და მეთოდების სრულყოფაში, გადაწყვეტილებათა შესრულების ორგანიზაციაში.

საანგარიშო-საარჩევნო კრებების დამთავრებისთანავე მოეწყო ახალარჩეული პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების, მათი მოადგილეების, პარტბიუროების წევრებისა და პარტჯგუფორგების ინიციატივის, შემოქმედებითი უნარის ამაღლებასა და საკუთარ თავზე დამოუკიდებელი მუშაობის ჩვევების დანერგვას ემსახურება პარტიული აქტივის სწავლების ახალი ფორმა, ე. წ. „პრავდის გაკვეთილები“. ამ სემინარის თემები შეიცავს პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის სხვადასხვა საკითხს გაზეთ „პრავდის“ მაგალითების მიხედვით. სემინარზე განხილველი საკითხების გარშემო იმართება აზრთა გაცვლელებული გაზიარება.

ვიყენებთ პარტიული აქტივის სწავლების ისეთ ფორმებსაც, როგორიც არის პარტიული ორგანიზაციების ახალარჩეული მდივნების საქმიანი შეხვედრები საქალაქო კომიტეტის მდივნებთან, განყოფილებათა გამგეებთან. პარტიული ორგანიზაციების მდივნებს ადგილებზე პრაქტიკულ დახმარებას უწევენ ინსტრუქტორები, რომლებიც ხშირად არიან პირველადს ორგანიზაციებში. პრაქტიკაშია დანერგილი საქალაქო კომიტეტის წევრთა მიმაგრება პარტორგანიზაციებში შემოწმების შედეგად გამოვლინებულ ნაკლოვანებათა გამოსწორების მიზნით. ანალოგიური მუშაობა წარმოებს პარტიული ორგანიზაციების მდივნების მოადგილეებთან, პარტჯგუფორგებთან და სხვ.

პირველადი პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობის ამაღლების მიზნით განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ

სიახლე, ტექნიკა, ხარისხი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მშენებლის ტრიბუნა

ბუსთავში პირველად ჩამოსული კაცის ყურადღებას აუცილებლად მიიპყრობს სამშენებლო ხარაჩოები. სართულს სართული ემატება, კვარტალს — კვარტალი.

რუსთაველი მშენებლები დიდი ამოცანების წინაშე დგანან ახალ ხუთწლედში. ხუთწლედის პირველი წელი მაღალი საწარმოო მაჩვენებლებით დაამთავრეს. საექსპლოატაციოდ გადასცეს 68.000 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, ანუ ბევრად მეტი, ვიდრე წლიური გეგმა ითვალისწინებდა. მშენებლებმა შესრულეს 32 მილიონ მანეთისაზე მეტი სამუშაოები. საექსპლოატაციოდ გადაცემული ობიექტებიდან აღსანიშნავია მანგანუმის ქვეყანგანისა და მანგანუმის ორყანგის საწარმოები, გარდაბნის მუყაო-რუბეროიდის ქარხანა, რუსთავის ალაოს ქარხანა, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის კომპლექსი, ლილოს საყოფაცხოვრებო ქიმიის კომბინატი, ზოოვეტინსტიტუტის კომპლექსი და სხვ.

წელს შარშანდელთან შედარებით მშენებლობის მასშტაბები უფრო დიდია. უნდა შესრულდეს ორი მილიონი მანეთით მეტი ღირებულების სამუშაო.

წელს აშენდება და საექსპლოატაციოდ გადაეცემა სუფთა და ტექნიკური ციანიდის მარილების წარმოების კომპლექსი, კაპროლაქტამის გამწმენდი საწარმო, ქარხანა „ცენტროლიტის“ მეორე რიგი, თბილისის საყოფაცხოვრებო ქიმიის ქარხანა, გარდაბნის ცალი მასტიკის ქარხანა, რუსთავის პურ-ფუნთუშეულის კომბინატი. დაიწყება ლუდის ქარხნის, საადგმაფოს, საყოფაცხოვრებო კომბინატის, მსხვილპანელიანი საკიდლე მასალების კომბინატის მშენებლობა. ერთ-ერთი მსხვილი მშენებარე ობიექტი იქნება ლილოს ბოსტნეულსაცავ ნაგებობათა კომპლექსი, რომლის საერთო ღირებულება 25 მილიონი მანეთია. ამ ობიექტის საექსპლოატაციოდ ზაფხიანის შემდეგ შესაძლებელი გახდება ზეენახოთ და გადავამუშაოთ 72 ათასი ტონა ბოსტნეული, დავაკმაყოფილოთ თბილისისა და რუსთავის მშრომელთა მოთხოვნილება ბოსტნეულზე.

თანამედროვე მშენებლობა ეს მაღალსართულიანი ნაგებობებია, ამიტომ მშენებლობის ჩქარი ტემპი წარმოუდგენელია, თუ არ გამოიყენე ინდუსტრიული მეთოდები. ამ ბოლო ხანს რუსთაველელმა მშენებლებმა მთელი რიგი სიახლენი დანერგეს სამშენებლო ინდუსტრიაში. უფართოდ ინერგება შენობის პროგრესული კონსტრუქციები, ახლებურად ეწყობა მშენებლობის ორგანიზაცია.

ამ რამდენიმე ხნის წინათ საექსპლოატაციოდ გადაეცა ხისდამუშავებელი ახალი კომბინატი, რეკონსტრუქცია გაუკეთდა სახლსამშენებლო კომბინატს, თითქმის ერთიორად გაიზარდა რკინაბეტონის კონსტრუქციების წარმოება, მწყობრში ჩადგა ახალი პოლიგონები.

ფართოდ ვიყენებთ მსხვილ პანელებს, ასაწყობ რკინაბეტონის კონსტრუქციებს, გამსხვილებულ ელემენტებს. ეს საშუალებას გვაძლევს მნიშვნელოვნად შევამციროთ მშენებლობის ვადები. თუ სამი წლის წინათ რვასართულიან სახლს 5-6 თვეში ვაშენებდით, ახლა სამნახევარ თვეში ვაშენებთ.

სამშენებლო ინდუსტრიაში სიახლეთა დანერგვა დიდ შედეგს იძლევა. ამაზე ნათლად მეტყველებს ცნობილი მშენებელს, სოციალისტური შრომის გმირის შ. მოდებაძის ბრიგადის მაგალითი. შ. მოდებაძის ბრიგადა, რომელიც მსხვილპანელიან 9-სართულიან სახლებს აშენებს, 1971 წლის 10 იანვარიდან სამეურნეო ანგარიშზე გადაიყვანა. რას ნიშნავს ეს? შ. მოდებაძის ბრიგადამ ხელშეკრულება დაუდო სახლსამშენებლო კომბინატს და ვალდებულება იკისრა აეშენებინა № 4 საცხოვრებელი სახლი, 30-კაციანი კომპლექსური ბრიგადა უზრუნველყოფილი იყო მშენებლობისათვის საჭირო მექანიზმებითა და საშენი მასალებით; მშენებლობა წარმოებდა გრაფიკის სრული დაცვით.

სახლის მშენებლობაზე ბრიგადას გამოყოფილი ჰქონდა 599,6 ათასი მანეთი. შ. მოდებაძის ბრიგადამ კი სახლის ასაგებად 582,7 ათასი მანეთი დახარჯა. ესე იგი მიღებულ იქნა 16,9 ათასი მანეთი ეკონომია. თვითეული მუშის მიერ თვიური საწარმოო ნორმის შესრულების მაჩვენებელმა 146 პროცენტს მიაღწია, ხოლო თვიურად ხელფასის სახით თვითეულმა მუშამ მიიღო 197 მანეთი.

ბრიგადა ორ ცვლად მუშაობდა. პირველი ცვლა მირითადად სამონტაჟო სამუშაოებს აწარმოებდა. მონტაჟს ახდენდნენ უშუალოდ მანქანიდან, ბრიგადას მთელ სახლზე მიეკუმული ჰქონდა აკორდულ-პრეფაბრიკული განრიგი. ამ ახალმა მეთოდმა უდაოდ დიდი შედეგი გამოიღო. მან ხელი შეუწყო არა მარტო მშენებლობის ვადების შემცირებას, არამედ ხარისხის გაუმჯობესებასა და მუშათა გამომუშავების გადიდებასაც.

მალე ამ ახალი მეთოდით მუშაობა დაიწყეს სხვებმაც. მათ შორის ა. წოკლაურის, ვ. ოვანოვის ბრიგადებმა.

სიახლეთა შორის აღსანიშნავია აგრეთვე მშენებლობაზე ბეტონისა და ხსნარის ეგრეთ წოდებული საათობრივი გრაფიკით მიწოდების მეთოდი, რასაც ახლა მაქსიმალურად ვიყენებთ. ამ მეთოდით მუშაობისას ბეტონისა და ხსნარის ქარხანამ, აგრეთვე სამშენებლო ობიექტის ხელმძღვანელებმა უნდა დამზადდეს ხსნარი, რა რაოდენობით უნდა მიიწოდონ და გამოიყენონ ნამზადები ობიექტებზე. ამ ახალი მეთოდით აღმოიფხვრა მოცდენები, შემცირდა ტრანსპორტის ხარჯები, მიღებულია დიდი ეკონომია. მაგალითად, შარშან დაიზოგა 466 ტონა ლითონი, 2.485 ტონა ცემენტი, 3.115 კვადრატული მეტრი მინა, 4.023 კუბური მეტრი ხე-ტყე.

წელს ჩვენმა მექანიკურმა ქარხანამ და რკინიგზის ტრანსპორტის კანტორამ დაიწყეს მუშაობის უფასოდ კვება. მალე ამ მაგალითს მიბაძავენ ჩვენს ტრესტში შემავალი სხვა ორგანიზაციებიც.

ამ ბოლო ხანებში დიდ ყურადღებას ვაქცევთ მშენებლობის ხარისხის გაუმჯობესებას. აღსანიშნავია, რომ შარშან საექსპლოატაციოდ ჩაბარებულმა 38 ობიექტმა „ფრიადი“ და „კარგი“ შეფასება დაიმსახურა.

ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვამ გაზარდა ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლები; მაგალითად, დიდი ეკონომიური ეფექტი მივიღეთ № 2 ბეტონის კვანძზე ავტომატიზაციის დანერგვით, სუპერბეტონისა და სუპერხსნარის შემოღებით, ახალი მექანიზაციის სამმართველოს შექმნით.

პერსპექტიანები დიდია, და რუსთაველი მშენებლები ენერგიას არ დაიშურებენ, რომ წარმატებით განახორციელონ ხუთწლიანი გეგმით დასახული დიდი ამოცანები.

ა. ბულია.

საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 1 ტრესტის მმართველი.

ლენინურად, დამკვრელურად

ქვანახშირის მრეწველობის კომუნისტური შრომის დამკვრელთა რესპუბლიკური შეკრება

□

ტყიბული. (საკ. კორ.). მეშახტეთა კულტურის სასახლის საქტო დარბაზში გაიმართა ქვანახშირის მრეწველობისა და შახტების მშენებლობის კომუნისტური შრომის დამკვრელთა რესპუბლიკური შეკრება. მეშახტეებმა და შახტმშენებლებმა ერთობლივად განიხილეს გასული წლის შუამავლის შედეგები და 1972 წლის სახელმწიფო დავალებათა შესრულების, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკ ებ ი ს კავშირის შექმნის 50 წლისთავის აღსანიშნავად ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებანი.

ამ საკითხებზე მოხსენებებით გამოვიდნენ საქართველოს ქვანახშირის კომბინატის უფროსი **დ. ჩიკვაძე** და საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს ტრესტ შახტმშენის მმართველი **გ. შოთნაშვილი.**

მოხსენების განხილვაში მონაწილეობა მიიღეს ტყიბულშახტმშენის სამმართველოს უფროსმა **ი. ლომაიამ**, ორჯონიკიძის სახელობის შახტის უფროსმა **ლ. ობოლაძემ**, სტალინის სახელობის შახტის საშახტო კომიტეტის თავმჯდომარემ **უ. გოგილიძემ.** ტყვარჩელის მეხუთე შახტის საშახტო კომიტეტის თავმჯდომარემ **მ. ძიძავამ**, ჰიათურამშენის სამმართველოს მებეტონეთა კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელმა **ნ. ახალინიძემ** და ახალციხის შახტსამართველოს წმენდითი სანგრევის მუშამ **უ. გველესიანმა.**

კომუნისტური შრომის დამკვრელთა რესპუბლიკური შეკრების მონაწილეებს მხურვალედ მიესალმა სტახანოვური მოძრაობის პიონერი, ვეტერანი ტყიბულელი მეშახტე, პერსონალური პენსიონერი **გ. გორგიძე.**

მომხსენებლებმა და კამათის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ რესპუბლიკის ქვანახშირის სამივე საბადოს მეშახტეებისა და შახტმშენებლების მრავალათასიანი არმია თავდადებით შრომობს ხუთწლედის დავალებათა შესასრულებლად და კარგ შედეგებსაც აღწევს.

სკკპ XXIV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესაბამისად ორატორებმა ყურადღება გაამახვილეს მეშახტეთა და შახტმშენებელთა მიერ შრომის ნაყოფიერების გადიდების, ახალი სამთო და სამშენებლო ტექნიკის დანერგვისა და მაქსიმალურად ათვისების, მატერიალური და სხვა რესურსების სწორი და ეფექტური გამოყენების საკითხებზე.

თათბირის მონაწილეებმა გულღასმით გადასინჯეს თავიანთი შესაძლებლობანი და სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის გადადებული ვალდებულებები იკისრეს.

...ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲘᲛᲔᲜᲢᲣᲚᲘ...

ᲗᲔᲚᲔᲗᲘᲡ ᲛᲔᲪᲮᲝᲕᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲙᲠᲝᲜᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐᲖᲔ

ᲝᲠᲗᲐᲩᲐᲚᲘ თელეთში რომ შედიხართ, ხელმარცხნივ შენიშნავთ ლამაზად კაფოფრებულ წარწერას — „ექსპერიმ ე ნ ტ უ ლი მ ე ცხოველეობის ფერმა“. გადაუხვევთ გზაზე, რომელზეც უკვე მოუსახამთ ასფალტი, გაუკეთებიათ ლამპიონები და ნახევარ კილომეტრ მანძილზე თქვენს წინაშე გადაეშლება სამშენებლო ხარაჩოები, ბეტონი უკვე აშენებული და ბევრიც მშენებარე ობიექტი... ყ. თამასაძე და გ. სიხარულიძე, რომ იტყვიან, დღესა და ღამეს აქ, მშენებლობაზე ატარებენ. სხვანირად არც „შეიძლება. პირველი საქართველოს სასოფლო მშენებლობის სამინისტროს № 1 ტრესტის თბილისის სამმართველოს უფროსია, ხოლო მეორე — უფროსი სამუშაოთა მწარმოებელი. მათდამი რწმუნებულ ორგანიზაციას ნაკისრი აქვს ექსპერიმენტული ფერმის მშენებლობა დაამთავროს მიმდინარე წლის მესამე კვარტალში ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული მეოთხე კვარტალისა. მშენებლებმა კი მუშაობა შარშან აპრილში დაიწყეს.

...თელეთის ექსპერიმენტული კომპლექსი, რომელიც საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და ელექტროფიკაციისა და მექანიზაციის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დაკვეთით შეხდება და გათვალისწინებულია 800 სული ძროხისათვის, თავისი ხასიათითა და სტრუქტურით პირველია საბჭოთა კავშირში.

კომპლექსს, რომელსაც ექნება ორი უნიკალური საძროხე, სანიტარული გამტარი, სამშობიარო 96 ძროხისათვის, სახბორე 360 სულისათვის, საწველ-სარძევე ბლოკი, ოზოლატორი, საქვაბე, ოთხი სასენაჟე კოშკური — თვითეულ 200 ტონის ტევადობისა, სასილოსე ტრანშეები და სხვ., სულ თექვსმეტი კაცი მოემსახურება. მომსახურე პერსონალის ასეთ სიმცირეს განაპირობებს ის, რომ აქ ყველა სახის სამუშაო პროცესი მექანიზებული და ავტომატიზებული იქნება. უფრო მეტიც, მექანიზმები ცენტრალიზებული ტელემართვით იმუშავებენ.

პირველ ეტაპზე მშენებლობა-ზე ქმნის ოთხი საკმაოდ მაღალ ამართული სასენაჟე კოშკურა. სხვათა შორის ისინი ზეხოლოფიკული მეგობრების მიერ არის გამოგზავნილი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ კოშკურებში დამზადდება 800 ტონა დაჭრილ-დაკეპილი იონჯა, რომელიც მუდამ შეინარჩუნებს იონჯის თავდაპირველ თვისებებს. აღსანიშნავია, რომ კოშკურები გერმეტულად არის დახურული და რომ მშენებლებს მოუნდათ მათი დამონტაჟება არა ჩვეულებრივად, ქვემოდან, არამედ ზემოდან, თვით სახურავიდან.

...და განა მარტო ამ კოშკურებში იქნება შენახული ფერმისათვის საჭირო საკვები? აქვე ფერმის ტერიტორიაზე შენდება სასილოსე ტრანშეები, რომლებშიც სილოსის დამზადება დიდ წესით იწარმოებს. ამ მეთოდით დამზადებული სილოსიც, ისევე რაც, კოშკურებში, მთლიანად ინარჩუნებს თავის პირველ თვისებებს, კალორიულობას.

როგორც უფროსმა სამუშაოთა მწარმოებელმა გ. სიხარულიძემ განაცხადა, ამჟამად მშენებარე ორი ტრანშეიდან დაიტევს 3.500 ტონა სილოსს. ეს რაოდენობა ზემოთ აღნიშნულ 800 ტონა სენაჟთან ერთად მთლიანად დააკმაყოფილებს ფერმის პირუტყვის მოთხოვნილებას საკვებზე.

მიუხედავად ცუდი, არახელსაყრელი ამინდებისა, მშენებელმემონტაჟეები ყველა ღონეს ხმაროობენ, რომ ფერმის კომპლექსი ეადამდე ჩააბარონ საექსპლოატაციოდ. ახლა მშენებლები ძირითადად სასილოსე დრენაჟების კედლების მონოლითური ბეტონის ჩასხმაზე მუშაობენ. მდიდარი სამშენებლო ტექნიკა და ადამიანები დასაქმებული არიან ავრეთვე საძროხეების, კოდიდან წყალგაყვანილობის, ქვესადგურის და სხვა ნაგებობათა მშენებლობაზე. — ვინ არიან ის მშენებლები, განსაკუთრებული წვლილი რომ შეაქვთ თელეთის ექსპერიმენტული მეცხოველეობის ფერმის ორთულ ნაგებობათა მშენებლობა. მუშაობის დაწყებული ტემპი იძლევა ამის გარანტიას, რომ საეცმშენებლები ფეხდაფეხ გაჰყვებიან ძირითად მშენებლებს და ვიდამდე ჩაბარებენ საექსპლოატაციოდ ამ დიდმნიშვნელოვან ობიექტს.

ეკონომიკა ხანში მშენებელ-მემონტაჟეები და ელექტროფიკაციისა და მექანიზაციის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი (დირექტორი პროფესორი ვ. მეტრეველი) შეუდგებიან ტელემართვის მექანიზმებისა და საკონტროლო-საზომი ხელსაწყოების მონტაჟს, გამოცდას და ამოქმედებას.

თელეთის მეცხოველეობის ექსპერიმენტული ფერმის პროექტი ეკუთვნის „საქსოფლპროექტს“. პროექტის მთავარი ინჟინერია ზ. ჯანელიძე.

ახალი ექსპერიმენტული მეცხოველეობის ფერმის ამოქმედება უდავოდ შეუწყობს ხელს მეცხოველეობის პროდუქტიულობის წარმოებრის მატებას, თელეთის საბჭოთა მეურნეობაში საფინანსოეკონომიური პირობების გაუმჯობესებას. იგი კარგი საჩუქარი იქნება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის 50 წლისთავის იუბილესთვის.

ზ. მერკვილაძე.

„კომუნისტის“ საკ. კორ.

საწარმოო გაერთიანება „ელექტროაპარატის“ თბილისის ქარხანა „ელექტროგამშვებში“ დაიწყო ახალი ტიპის რელეს თვისება. ის მთლიანად განსხვავდება თავისი წინამორბედისაგან, ბევრად უფრო ეკონომიური და სიმედოა. უახლოეს პერიოდში დამთავრდება ახალი რელეს გამოცდა და ათვისება, ხოლო მესამე კვარტალიდან დაიწყება მისი მასობრივი წარმოება.

სურათზე: უფროსი ინჟინერ-ტექნოლოგი ბიჭიკო ჩიქოვანი და ქიმიური ლაბორატორიის ლაბორანტი მარინე დიაკვნიშვილი ამოწმებენ თერმოელემენტის სამპოლუსიან რელეს შელებვის შემდეგ.

ფოტო ვ. მორგუნოვისა (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ტყე და მექანიზაცია

თქვენთვის სპეციალისტებო, სტუდენტებო!

გამოცემლობა „განათლებამ“ ამას წინათ გამოსცა პროფესორ **ბ. ჩიხლაძის** სახელმძღვანელო **„სატყეო მეურნეობის სამუშაოთა მექანიზაცია“.** სახელმძღვანელო ძირითადად განკუთვნილია საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სატყეო-სამეურნეო ფაკულტეტის სტუდენტებისათვის, მაგრამ ამ სახელმძღვანელოთი შეიძლება ისარგებლონ როგორც სატყეო სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის სტუდენტებმა, ისე ყველა სპეციალისტმა, რომლებიც მუშაობენ ტყის კულტურების გაშენებისა და მოვლის დარგში.

სახელმძღვანელოში თანმიმდევრულად არის გაშუქებული სატყეო-სამეურნეო სამუშაოებში ტრაქტორებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების გამოყენების ტექნიკა.

ნაშრომი შედგება ორი განყოფილებისა და 21 თავისაგან. სახელმძღვანელოში მოცემულია მანქანა-იარაღების უახლესი კონსტრუქციების აღწერა. მათი რაციონალური ექსპლოატაციის საკითხები ფართო ადგილი აქვს დათმობილი სატყეო-სამეურნეო სამუშაოებში მანქანა-ტრაქტორების გამოყენების საკითხს საქართველოს მთავარი რელიეფის პირობებში, სატყეო-სამეურნეო სამუშაოების მექანიზებულად შესრულებისათვის საჭირო მანქანებისა და იარაღების კონსტრუქციების აღწერას, გაშუქებულია მათი ტექნოლოგიური პროცესების გაანგარიშება, რაციონალური ექსპლოატაცია და სხვ.

ნაშრომში უფართოდ არის განხილული ტყის კულტურების თესლით, ან წერგებით გაშენებისათვის საჭირო მანქანებისა და იარაღების, მავნებლებისა და აეროფოფობის წინააღმდეგ საბრძოლო ტექნიკის, სარწყავი მანქანების გამოყენების საკითხები.

ავტორს წიგნის მეორე განყოფილებაში გაშუქებული აქვს სატყეო-სამეურნეო მანქანებისა და იარაღების ექსპლოატაციის, ტექნიკური მოვლისა და რემონტის ორგანიზაციის პრობლემები.

წიგნში დაწერილებით არის გადმოცემული ტყეებში ხანძრის ჩაქრობა, ტყეების ბიოლოგიური ფიტოფაგებისგან, ბაქტერიებისგან, ფუტკრებისგან, ფრინველებისგან, ბაკურებისგან, ფოთლისჭამიებისგან, ბალახეებისგან, ბალახეებისგან, ბალახე

მსოფლიო დღის

შეხვედრები იტალიის მიწა-წყალზე

მილანი. 15 მარტი. (საკდესი). „ხალხთა დამოუკიდებლობისათვის, მშვიდობისა და სოციალიზმისათვის, იმპერიალიზმის წინააღმდეგ“ — ასეთი ლოზუნგით გუშინ სალამის ჩრდილოეთ იტალიის 14 ქალაქში გაიმართა მანიფესტაციები, რომლებშიც მონაწილეობდნენ იტალიის კომუნისტური პარტიის XIII ყრილობაზე დამსწრე კომუნისტური და მუშათა პარტიების დელეგაციები.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციამ, რომელსაც მეთაურობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ვ. გრიშინი, ფინეთის კომუნისტური პარტიის, იორდანიის კომუნისტური პარტიისა და გვინეის დემოკრატიული პარტიის დელეგაციებთან ერთად მონაწილეობა მიიღო ქალაქ რეჯო-ემილიის კომუნისტებთან, მშრომელთა საზოგადოებრიობისა და ახალგაზრდობის წარმომადგენლებთან შეხვედრაში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია ეწვია აგრეთვე ქალაქ კავრიაგოს, სადაც დადგმულია ვ. ი. ლენინის ძეგლი, რომელიც ქალაქის მცხოვრებლებს საბჭოთა კავშირმა აჩუქა. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ კავრიაგოს მოსახლეობამ ვ. ი. ლენინი თავისი ქალაქის საპატიო მერად აირჩია.

მილანი. 15 მარტი. (საკდესი). პარტიის როლს იტალიის საზოგადოების სოციალისტური გარდაქმნისათვის ბრძოლაში, მემარცხენე და დემოკრატიული ძალების ერთიანობის პრობლემებს შეეძღვნა სტატეა, რომელიც დღეს წარმოთქვა იტალიის კომპარტიის გენერალურმა მდივანმა ამხ. ლუიჯი ლონგომ იტალიის კომპარტიის XIII ყრილობაზე მილანში.

დელეგატები მხურვალედ მიესალმნენ ამხანაგ ლუიჯი ლონგოს — იტალიისა და საერთაშორისო მუშათა მოძრაობის გამოჩენილ მოღვაწეს, რომელსაც დღეს 72 წელი შეუსრულდა. იტალიის კომპარტიის ხელმძღვანელობის წევრმა ლ. იოტიმ, რომელიც სხდომას თავმჯდომარეობდა, ხანგრძლივი სიცოცხლე და ჯანმრთელობა უსურვა ლ. ლონგოს.

ინდირა განდის მიმართვა

დელი. 16 მარტი. (საკდესი). კონგრესის გამარჯვება არჩევნებში ნიშნავს დემოკრატიის, სოციალიზმისა და სეკულარიზმის პრინციპებზე დაფუძნებული ჩვენი პოლიტიკის გამარჯვებას, განაცხადა პრემიერ-მინისტრმა ინდირა განდიმ.

შტატების საკანონმდებლო კრებების დეპუტატებად არჩეული კონგრესისტებისადმი მიმართვაში ინდირა განდიმ აღნიშნა, რომ თუმცა ქვეყნის წინაშე დასახული ფრიად რთული ამოცანები, მაგრამ ყველა ეს ამოცანა შეიძლება წარმატებით გადაიჭრას, თუ „ჩვენ ერთად ვიმოქმედებთ“. „ინდოელმა ხალხმა ხმა მისცა კონგრესს, და ახლა ჩვენი ამოცანაა განვამარტოთ ამომრჩეველთა ნდობა“.

ვაშინგტონი — ამაო ცდა

16 მარტი. (საკდესი). ამერიკის საინფორმაციო სააგენტომ, რომელსაც დაკისრებული აქვს ამოცანა, რომ საზღვარგარეთ პროპაგანდა გაუწიოს „ამერიკული ცხოვრების წესს“, მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში შექმნილ თავის ბანყოფილებებს დაუგზავნა „საგანგებო ცირკულარი“ მითითებებით, თუ როგორ „განუმარტონ“ მსოფლიო საზოგადოებრიობას ამერიკაში აწყალა დევნის დეგნის ამბავი.

ამერიკის შეერთებული შტატების საინფორმაციო სააგენტოს ხელმძღვანელობა აღიარებს, რომ ანჯელა დევისის დაცვისათვის მოძრაობა ფართოდ განვითარდა მთელ მსოფლიოში, რომ მრავალ ქვეყანაში იქმნება მისი განთავისუფლებისათვის მებრძოლი კომიტეტები, აგროვებენ მისი დაცვის ფონდში შესატან სახსრებს, სოლო ამერიკის შეერთებულ შტატებში მოდის წერილებისა და პეტიციების ნაკადი ანჯელა დევისის მხარდასაჭერად.

ამ კამპანიაში, აღნიშნულია ცირკულარში, ბევრი მასობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაცია, სულ სხვადასხვა მრწამსის ადამიანები მონაწილეობენ.

საინფორმაციო სააგენტოს აზრით, რა გეზი უნდა აიღონ ამ პირობებში ოფიციალურმა ამერიკელმა პროპაგანდისტებმა?

რაკეტკინდი

რეფორმა განათლების ღარგზე

16 მარტი. (საკდესი). პაკისტანის პრეზიდენტმა ზ. ა. ბჰუტომ გუშინ გამოაცხადა რეფორმა განათლების დარგში.

რეფორმა ორ ეტაპად განხორციელდება. მიმდინარე წლის 1 ოქტომბრიდან პირველი-მეოთხე კლასების ყველა მოსწავლე განთავისუფლდება სწავლის ქირისაგან. 1974 წლის 1 ოქტომბრიდან მოყოლებული უფასო იქნება სწავლა აგრეთვე შეტხრე და მეათე კლასებში.

რეფორმის თანახმად პირველი ხუთი კლასის მოსწავლე ბიჭებისათვის განათლება საყოველთაო გახდება 1979 წლისათვის, ხოლო გოგონებისათვის — 1984 წლისათვის. რეფორმის განხორციელების ესოდენ ბეჯითურებული ვადები პრეზიდენტმა სახსრების ნაკლებობით ახსნა. რეფორმა ვრცელდება როგორც სახელმწიფო, ისეკე კერძო სასწავლებლებზე.

პრეზიდენტმა აგრეთვე თქვა, რომ მთავრობამ გადაწყვიტა განახორციელოს კერძო სკოლების ნაციონალიზაცია ორი წლის ვადაში, დაწყებული 1972 წლის 1 ოქტომბრიდან, მფლობელთათვის კომპენსაციის მიუცემლად.

ეგვიპტე

არჩევნების შედეგები

16 მარტი. (საკდესი). შეჯამებულია ქვეყნის 16 შტატისა და ორი მოკავშირე ტერიტორიის ბაკანონმდებლო კრებების არჩევნების შედეგები. საგულისხმო გამარჯვება მოიპოვა მმართველმა პარტიამ ინდოეთის ეროვნულმა კონგრესმა, რომლის წარმომადგენლებმა 2.727 დეპუტატის მანდატიდან მიიღეს 1.925. ინდოეთის ეროვნულმა კონგრესმა, რომელსაც პრემიერ-მინისტრი ინდირა განდი მეთაურობს, აბსოლუტური უმრავლესობა მოიპოვა ინდოეთის 11 შტატსა და დელის მოკავშირე ტერიტორიაზე.

კომენტარს უძღვნიან რა კენჭისყრის შედეგებს, ადგილობრივი მიმომხილველნი განსაკუთრებით აღნიშნავენ, რომ უდიდესმა უმრავლესობამ, ორას მილიონზე მეტმა ინდოელმა ამომრჩეველმა, ინდოეთის ეროვნული კონგრესის პარტიას გადასცა მანდატი ქვეყანაში რადიკალურ სოციალურ-ეკონომიური გარდაქმნების კონკრეტული პროგრამის განხორციელებისათვის.

არჩევნებში წარმატებით გამოვიდა აგრეთვე ინდოეთის კომუნისტური პარტია.

იორდანიის მეფის წინადადებანი

ამანი. 16 მარტი. (საკდესი). იორდანიის მეფე ჰუსეინმა გამოაქვეყნა წინადადებანი არაბთა გაერთიანებული სამეფოს შექმნის შესახებ.

გათვალისწინებულია, რომ სამეფოში გაერთიანდეს ორი რაიონი: პალესტინის, რომელშიც შედის მდინარე იორდანის დასავლეთი სანაპირო და „სხვა არაბული ტერიტორიები, რომელთა მოსახლეობა სამეფოსთან შეერთების სურვილს გამოთქვამს“, აგრეთვე იორდანიის რაიონი, რომელშიც შედის იორდანიის აღმოსავლეთი ნაპირი.

არაბთა გაერთიანებული სამეფოს მეთაურად დარჩება მეფე, რომლის ხელში იქნება ცენტრალური აღმასრულებელი ძალაუფლება, რასაც მინისტრთა კაბინეტის მეშვეობით განახორციელებს, და შეიარაღებული ძალები. საკანონმდებლო ძალაუფლებას ქვეყანაში განახორციელებენ მეფე და ეროვნული კრება.

აღმასრულებელ ძალაუფლებას თვითეულ ამ რაიონში, ახალი პროექტის თანახმად, განახორციელებენ ამ რაიონის გენერალ-გუბერნატორი და მინისტრთა რეგიონალური კაბინეტი.

ბეირუთი. 16 მარტი. (საკდესი). ლიბანის პრესა აშუქებს „ჰუსეინის გეგმას“ და აღნიშნავს, რომ პალესტინის წინააღმდეგობის მოძრაობის წრეებში მეტად ფრთხილად მოეკიდნენ გეგმას. პალესტინის „ფათჰის“ ორგანიზაციის შეფასებით, ეს ნაბიჯი მიზნად ისახავს პალესტინის წინააღმდეგობის მოძრაობის ლიკვიდაციას.

კაირო. 16 მარტი. (საკდესი). ეგვიპტის პრესის მონაცემებით, არაბთა რესპუბლიკის ფედერაციის საპრეზიდენტო საბჭოს აქაურ სესიაზე განიხილეს „ახალი საშუალი მდგომარეობა, რომელიც ახლო აღმოსავლეთში შეიქმნა მეფე ჰუსეინის გადაწყვეტილების გამო, რამაც დიდი შეშფოთება გამოიწვია ყველა არაბულ ქვეყანაში“.

გაზეთი „ალ-აჰრამი“ გამოთქვამს შიშს, რომ ამ გადაწყვეტილების უკან იმალება „გარკვეული გარიგება“ შეერთებული შტატების მონაწილეობით. ამ შიშს, როგორც გაზეთი წერს, აძლიერებს ისიც, რომ ამას წინათ ამერიკის სახელმწიფო მდივნის თანაშემწემ ჯ. სისკომ განაცხადა, უახლოეს ხანში იორდანიისა და ისრაელის ურთიერთობაში „დიდი ძვრები“ მოხდებიო. შემთხვევითი არ არის, აღნიშნავს „ალ-აჰრამი“, რომ ჰუსეინის განცხადებას კმაყოფილებით შეხვდნენ ვაშინგტონში.

ნიუ-იორკი. 16 მარტი. (საკდესი). „ნიუ-იორკ ტაიმსის“ კორესპონდენტი პ. გროსი ისრაელის მიერ ოკუპირებული იორდანის ნაწილიდან იტყობინება, რომ, პალესტინელ არაბთა აზრით, „მეფე ჰუსეინსა და ისრაელ ოკუპანტებს შორის მიღწეულია საიდუმლო შეთანხმება პალესტინის იმ ტერიტორიათა სტატუსის მოწესრიგების მიზნით, რომლებიც იორდანიას წაგლეჯეს 1967 წლის ექვსდღიანი ომის დროს“.

ტოკიო — „ნისლი გაიფანტა“

16 მარტი. (საკდესი). მექსიკურმა გაზეთმა „დიამ“ გამოაქვეყნა სტატია, რომლის სათაურია „ჩინეთ-ამერიკის სტრატეგია“.

„ჩინეთის ლიდერთა სიტყვიერი რევოლუციური ნისლი, რომლითაც ისინი ცდილობდნენ მიეჩქმალათ თავიანთი შვინისტური, ჰეგემონისტური მისწრაფებანი აზიაში საბოლოოდ გაიფანტა, — წერს გაზეთი. — ჩინეთის სტრატეგიული ხაზი საგსებით შეესაბამება ამერიკის პოლიტიკას, რომელიც მიზნად ისახავს აზიის კონტინენტის გათიშვას გავლენის ზონებად“.

ჩინეთის ლიდერები, წერს შემდეგ „დია“, დიდხანს ამზადებდნენ თავიანთ ახლანდელ კურსს. მიმართავდნენ რა შეიარაღებულ პროვოკაციებს საბჭოთა კავშირის საზღვარზე, ისინი თხზავდნენ მითს „ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისათვის ჩრდილოეთიდან მოსალოდნელი საფრთხის „შესახებ. შემდეგ მათ ეს პროპაგანდისტული ფანდი, აღნიშნავს გაზეთი, გამოიყენეს ამერიკის შეერთებულ შტატებთან დაახლოების დროს, რათა შეენიღბათ თავიანთი უარი „რევოლუციურ ბრძოლაზე ლათინური ამერიკის ხალხთა, არაბთა და ვიეტნამელი ხალხის მხარეზე“.

პეკინის ლიდერთა ყველა განცხადება, რომ მხარს უჭერენ ამ ბრძოლას, ისევე როგორც ის განცხადებანი რომელთაც შეიცავს ამერიკა-ჩინეთის კომუნიკე, მხოლოდ სიტყვიერი ხრიკებია, ადასტურებს „დია“. ჩინეთის ხელმძღვანელობის ახლანდელი პოლიტიკა, წერს მექსიკური გაზეთი, მიმართულია იმ ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ, რომლებიც იმპერიალიზმის უღელქვეშ იტანჯებიან, აგრეთვე საერთაშორისო მუშათა მოძრაობის წინააღმდეგ.

„ეროვნული დღე“

16 მარტი. საკდესის კორესპონდენტი ბ. ოგიუევი გვაუწყებს: მე-8 საერთაშორისო სავაჭრო-სარეკლამო [illegible] ბაზრობაზე, რომელიც აქ მიმდინარეობს [illegible] ლს სსრ ეროვნული დღე, რომლის ცალკე ექსპოზიცია პირველად არის წარმოდგენილი სსრ კავშირის პავილიონში.

საქართველოს სსრ ეროვნულ დღეში მონაწილეობის მისაღებად კაიროს ჩამოვიდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. ი. ვადაჭკორია, საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხისდამამუშავებელი მრეწველობის მინისტრი შ. ა. დოლიძე და საქართველოს სსრ სავაჭრო პალატის პრეზიდიუმის თავმჯდომარე რ. ხ. ელიგულაშვილი.

საბჭოთა საქართველოს მონაწილეობა კაიროს საერთაშორისო ბაზრობაში მოწმობს გრანდიოზულ წარმატებებს, რომლებსაც ქართველმა ხალხმა მიაღწია საბჭოთა ხელისუფლების წლებში. საქართველოს სსრ ექსპოზიცია მჭევრმეტყველურად მოწმობს ლენინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვებას, რომლის მეოხებით საბჭოთა საქართველომ შედარებით მოკლე ვადაში უმაგალითო ეკონომიურ და სოციალურ პროგრესს მიაღწია ცხოვრების ყველა დარგში.

ახლა საქართველო მთლიანი წიგნიერების, დიდად განვითარებული მრეწველობისა და მოწინავე სოფლის მეურნეობის ქვეყანაა. ქართულ მარკიანი პროდუქცია გაავქეთ მსოფლიოს 67 ქვეყანაში, მათ შორის ეგვიპტეშიც. საქართველოს საწარმოთა 2.000-ზე მეტი ექსპონატია წარმოდგენილი საქართველოს სსრ განყოფილების სტენდებზე. მათ შორის არის ისინი, რომლებიც უკვე გაავეს ბევრ ქვეყანაში, და ის ახალი საქონელიც, რომელსაც გვთავაზობს საექსპორტოდ, კერძოდ, ჩარხები და მოწყობილობა, გამოსათვლელი მანქანები, ელექტროძრავები, ტეოროლოგიური ხელსაწყოები, ჩაის საკრეფი მანქანა „საქართველო“, ხალიჩები, ჩაი, ღვინოები და ბევრი სხვა.

გუშინ საღამოს სსრ კავშირის პავილიონის დირექციამ დარბაზობა გამართა საქართველოს სსრ ეროვნული დღის გამო. დარბაზობამ გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

საბჭოთა პავილიონის სტუმრებს მიესალმა ქართული ეოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი „ოვერია“.

ეროვნული

ინდოეთი — „ინდოეთ-ბანგლადეშის ბანკი“

**16 მარტი. (საკდესი). ინდოეთ-ბანგლადეშის ბანკი, ინდოეთ-ბანგლადეშის ეკონომიკური ურთიერთობების ინსტიტუტი, ინდოეთ-ბანგლადეშის ბიზნეს-ინფორმაციული ბიურო, ინდოეთ-ბანგლადეშის ვაჭრობა-მრეწველობა, ინდოეთ-ბანგლადეშის ინჟინერ-ტექნიკოსთა ასოციაციები, ინდოეთ-ბანგლადეშის ეროვნული ბანკი, ინდოეთ-ბანგლადეშის ეროვნული ბანკი, ინდოეთ-ბანგლადეშის ეროვნული ბანკი

დიდი სჯა-ბაასი ქართულ მუსიკაზე

საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის პლენუმის შედეგები

რამდენიმე დღეს საქართველოს დედაქალაქის საკონცერტო დარბაზებში ეღერდა უკანასკნელ წლებში ქართველ კომპოზიტორთა მიერ შექმნილი ახალი ნაწარმოებები. საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის პლენუმის პროგრამაში შედიოდა სიმფონიები და კანტატები, ორატორიები და სიმღერები, ინსტრუმენტული ნაწარმოებები. ამ წარმომადგენლობითი შემოქმედებითი დათვალიერების შედეგებს მიეძღვნა მოსმენილი თხზულებათა განხილვა, მომხსენებელმა — ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ კომპოზიტორმა ა. შავერზაშვილმა აღნიშნა პლენუმის კონცერტების ყანრული მრავალფეროვნება. ღვაწლმოსილ კომპოზიტორთა გვერდით გაბედულად გამოვიდა ნიჭიერი ახალგაზრდობა, ჩვენი კომპოზიტორები ნაყოფიერად მუშაობენ კამერულ-ხაინსტრუმენტო და კამერულ-ვოკალურ ჟანრში. მომხსენებელმა დაასახელა ს. ნასიძის მეორე კვარტეტი, რომელმაც მსმენელთა და კრიტიკოსთა მაღალი შეფასება დაიმსახურა. კვლავ ცხადყო საგუნდო ნაწარმოებთა შექმნის თავისი ოსტატობა შ. მშველიძემ, რომელმაც პლენუმზე წარმოადგინა ახალი ვოკალური ნაწარმოებები. კარგი შთაბეჭდილება დატოვეს მ. დავითაშვილის რომანსებმა. ამ ნაწარმოებებმა, თქვა მომხსენებელმა, ღირსეული ადგილი უნდა დიკავონ შემსრულებელთა კოლექტივებისა და სოლისტთა რეპერტუარში.

ყველაზე თვალსაჩინო თხზულებათა შორის აღნიშნეს ბ. კვირნაძის, ვ. აზარაშვილის, ა. ჩიმაკაძის, გ. კოკელაძის, ტ. ბაქრაძის ქმნილებები, მ. მილორავას, ი. ბობოხიძის, ი. კეპაყმაძის, რ. ქარუხნიშვილისა და სხვათა საგუნდო ნაწარმოებნი. აღინიშნა ა. კერესელიძის უკანასკნელი ნაწარმოების „ვედრების“ მელოდიურობა, გულწრფელობა და მუსიკალობა. იგი შესანიშნავად შეასრულა საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა მ. ამირანაშვილმა.

ამ პლენუმის საინტერესო მოვლენა იყო თბილისის კონსერვატორიის კურსდამთავრებულთა და კომპოზიციის კათედრის სტუდენტთა კონცერტები. პლენუმის სასახარულო ფაქტს წარმოადგენდა ახალი კოლექტივის — საქართველოს მუსიკალური და ენციკლოპედიური საზოგადოების კამერული კაპელის გამოსვლა. კონცერტებში მონაწილე ყველა კოლექტივმა — საქართველოს სახელმწიფო სიმფონიურმა ორკესტრმა, საქართველოს ტელევიზიისა და რადიოს სიმფონიურმა ორკესტრმა, საქართველოს კამერულმა ორკესტრმა, სახელმწიფო სახელმწიფო კაპელამ და თბილისის ფილარმონიის სახელობის ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრის და საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის სიმღერა-ცეკვის ანსამბლმა დიდი მუშაობა გასწიეს და ყოველი ღონე იხმარეს, რათა დირსეულად წარმოდგინათ ქართველ კომპოზიტორთა ახალი ნაწარმოებები.

განხილვაში მონაწილეობდნენ მუსიკათმცოდნეები ლ. მუხრანსკაია (მინსკი), ს. ქერიმოვი (ბაქო), ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი ლ. რაბინელი (ლენინგრადი), ა. ბოგდანოვა და კ. საკვა (მოსკოვი), ი. ანტანავიჩუსი (ვილნიუსი), ი. კაზარიანი (ერევანი), ე. მაჩავარიანი და თ. კვირიკაძე (თბილისი). ესტონელი კომპოზიტორი ლ. ნორმეტი, კომპოზიტორები ვ. კუზიანიძე და ფ. ღლონტი, საქართველოს ტელევიზიისა და რადიოს სიმფონიური ორკესტრის მთავარი დირიჟორი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ლ. კილაძე.

პლენუმის შედეგები შეაჯამა საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის პირველმა მდივანმა, სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ა. ბალანჩივაძემ.

საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის შემდეგი შემოქმედებითი პლენუმი გაიმართება წელს დეკემბერში. იგი მიეძღვნება სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავს. (საქინფორმი).

ლიტერატურა და ხელოვნება

მაღალი შეფასება

ირანი—საქართველო

სულ უფრო ფართოვდება და ვითარდება კულტურული ურთიერთობა ჩვენს მეზობელ სახელმწიფო ირანთან. ამ დღეებში საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოებამ ირანიდან მიიღო საბჭოთა კავშირის საელჩოს პირველი მდივნის ᲛᲘᲠᲘᲐᲜᲘᲡ წერილი და მის მიერ გამოგზავნილი ირანული ჟურნალ-გაზეთები, რომლებშიც გამოქვეყნებულია ირან-საქართველოს კულტურული ურთიერთობის ამსახველი მასალები.

როგორც ო. კიკნაძე იტყობინება, დიდი წარმატება ჰქონდა ირან-საბჭოთა კავშირის კულტურული ურთიერთობის საზოგადოებაში მოწყობილ ქართული ჭედურობის ფოტოგამოფენას.

სამეცნიერო-ლიტერატურულ ჟურნალ „სოხანის“, რომლის მთავარი რედაქტორია ცნობილი ირანელი პროფესორი ფარვიზ ნათელ ხინლარი, 1971 წლის მე-2 ნომერში დაიბეჭდა ქართველი პროფესორის ჯემშიდ გიუნაშვილის სტატია „სპარსული ლიტერატურა საქართველოში“. იმავე ჟურნალის მე-5 ნომერში გამოქვეყნდა ჯ. გიუნაშვილის მეორე სტატია „ირანისტიკა საქართველოში“. ამ სტატიებში ავტორი მკითხველებს აცნობს ირანული ძეგლების ქართულ ენაზე თარგმნის ისტორიას, ვრცელად მოუთხრობს, თუ რაზე მუშაობენ ამჟამად ქართველი ირანისტები — ფილოლოგები, ისტორიკოსები და რეგორია მათი წარმატებები.

წელს კი, იანვრის ბოლოს, თეირანის რუდაქის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში გაიმართა პ. ჩაიკოვსკის ბალეტ „გედის ტბის“ პრემიერა. სპექტაკლის დადგმა განახორციელა სსრ კავშირის სახალხო არტისტმა, ლენინური და სახელმწიფო პრემიების ლაურეატმა, თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მთავარმა ბალეტმეისტერმა ვახტანგ ჭაბუკიანმა. წამყვან როლებს ასრულებდნენ თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის ახალგაზრდა სოლისტები ნათელა არობელიძე — ოდილია-ოდეტა და ვალერი აბულაძე — პრინცი.

ირანის პრესამ მაღალი შეფასება მისცა როგორც სპექტაკლის დადგმას, ისე ქართველი მსახიობების გამოსვლას. საზოგადოების სახელზე ირანიდან გამოგზავნილ მასალებს შორის არის ირანული გაზეთების, აგრეთვე ჟურნალების ნომრები, სადაც გამოქვეყნებულია რეცენზიები ქართველ მსახიობებზე. ეს გაზეთებია: „აიანდეგანი“, „ქეიჰანი“, „ხაქენაფთი“, „აკავაზი“, „თამაშა“ და სხვ.

აი რას წერს გაზეთი „ქეიჰან ინტერნაშნლი“ — „ირანის სცენაზე პირველად იქნა მთლიანად წარმოდგენილი საბალეტო სპექტაკლი, რომლის დადგმა განახორციელა სახელგანთქმულმა ქართველმა ბალეტმეისტერმა ვახტანგ ჭაბუკიანმა, მან თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის მსახიობების ნათელა არობელიძისა და ვალერი აბულაძის შესანიშნავმა ცეკვამ“.

ირანიდან მიღებული რეცენზიების გაცნობის შემდეგ თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში ვეწვიეთ ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲭᲐᲑᲣᲙᲘᲐᲜს და ვთხოვეთ მოეთხრო ირანში მისი, როგორც ბალეტმეისტერის, მუშაობაზე.

— პირველად ირანში, რუდაქის თეატრში მიმიწვიეს გასული წლის გაზაფხულზე. უნდა დამედგა პ. ჩაიკოვსკის ბალეტი „გედის ტბა“. რასაკვირველია, ეს ჩემთვის მეტად საპასუხისმგებლო დავალება იყო, რადგან თვით ირანში საბალეტო ხელოვნება ნაკლებად არის განვითარებული. იქ არ არის ბალეტის ეროვნული კადრი. თეატრს არა ყავს საკუთარი საბალეტო კოლექტივი. ასეთ პირობებში კლასიკური ბალეტის დადგმა დიდ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. მაგრამ, როგორც შემდეგ გამოირკვა, თეატრს მთავარი პარტიების შემსრულებლებად მოწვეული ყავდა მსახიობები ინგლისიდან, დანიიდან. მათთან ერთად სპექტაკლში გამოვიყვანე ადგილობრივი საბალეტო სკოლის მოსწავლეები. ასე რომ სპექტაკლი კარგი გამოგვივიდა.

როცა რუდაქის თეატრის ხელმძღვანელობამ შემომთავაზა მეორედ დამედგა „გედის ტბა“, წარვუდგინე ჩვენი ახალგაზრდა ნიჭიერი ქართველი მსახიობები ნათელა არობელიძე და ვალერი აბულაძე. მათაც მიიღეს ჩემი წინადადება და ორივე მიიწვიეს მთავარი პარტიების შესასრულებლად. სასახარულოა, რომ ირანის პრესამ, აგრეთვე ადგილობრივმა საბალეტო ხელოვნების მოყვარულებმა მაღალი შეფასება მისცეს ქართველი მსახიობების ცეკვას და ირანის კულტურის სამინისტრომ სთხოვა კიდევაც მათ — გაეგრძელებინათ გასტროლები. მაგრამ, რადგან ისინი თბილისის თეატრში ახალ სპექტაკლში იყვნენ დაკავებულნი, გასტროლების გაგრძელებაზე მათ უარი თქვეს.

— კიდევ რამდენჯერ ყოფილხართ ირანში? — ვკითხეთ ვ. ჭაბუკიანს.

— პირველად დიდი სამამულო ომის დროს საბჭოთა მსახიობთა ჯგუფთან ერთად ვიყავი ირანში საგასტროლო მოგზაურობაში.

— ამ უკანასკნელ ხანს თუ გქონიათ ირანის გარდა სხვა ქვეყნებში მიწვევა?

— ეს უკანასკნელი ორი წელიწადი ჩემთვის, როგორც ბალეტმეისტერისათვის, მეტად დაძაბული იყო. როცა ნოვოსიბირსკში დავამთავრე ა. კრეინის ბალეტ „ლაურენსიას“ დადგმა, ამავე სპექტაკლის დასადგმელად მიმიწვიეს ბუდაპეშტის ოპერისა და ბალეტის თეატრში. შემდეგ ბულგარეთის დედაქალაქის სოფიის ოპერისა და ბალეტის თეატრში განვახორციელე მინკუსის „დონ-ჟიხოტი“. განზრახული მაქვს ახლო მომავალში თეირანის რუდაქის თეატრში დავდგა მინკუსის „ბაიადერა“.

ჩვენი თეატრი აფართოებს საერთაშორისო თანამშრომლობას სხვა ქვეყნების თეატრების კოლექტივებთან. ასე რომ ასეთი სპექტაკლების დადგმა, ჩვენი მსახიობების მონაწილეობა სხვა ქვეყნების თეატრების სპექტაკლებში კიდევ უფრო ხშირი იქნება.

ლ. ᲮᲣᲒᲣᲚᲣᲠᲘ.

ᲡᲣᲠᲐᲗᲨᲘ: ასე გამოეხმაურა ირანის პრესა ქართველი მსახიობების გამოსვლას.

პირველად მოსკოვში

დ. თორაძის მეორე სიმფონია შესრულდა კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში

მოსკოვის კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში შესრულდა დავით თორაძის ახალი ნაწარმოები — მეორე სიმფონია. ამ სამნაწილიან თხზულებაში კომპოზიტორმა ადიდა ქართველი ერის სულიერი ძალა, მისი თავისუფლებისმოყვარეობა. სამშობლოს ისტორიასთან დაკავშირებული მოტივები და თემები დ. თორაძემ მრწყინვალედ და სრულად გამოხატა. მან თანამდროვე მუსიკალური ენით გაგვაცნო ქართველი ხალხის წარსული და აწმყო.

მეორე სიმფონია შეასრულა საკავშირო რადიოსა და ტელევიზიის დიდმა სიმფონიურმა ორკესტრმა, რომელსაც დირიჟორობდა ესტონეთის სსრ-სახალხო არტისტი ნეემე იარვი.

მსმენელებმა გულთბილად მიიღეს ქართველი კომპოზიტორის შესანიშნავი ნაწარმოები. საქინფორმის კორესპონდენტი ესაუბრა ბეგრ მუსიკის მოყვარულს, კომპოზიტორებს, მუსიკის კრიტიკოსებს, და ყველამ აღნიშნა, რომ მეორე სიმფონია არის ნაწარმოები, რომელიც ღირსეულ ადგილს დაიკავებს საბჭოთა მუსიკალური კულტურის საუკეთესო ნაწარმოებებს შორის.

— სიმფონია დიდებულად შესრულდა, — თქვა ცნობილმა კომპოზიტორმა ა. შუბაიმ. — ეს არის საბჭოთა მუსიკის და, კერძოდ, ქართული მუსიკის ერთერთი შესანიშნავი თხზულება. ამ ნაწარმოებში ავტორმა შეძლო გადაწყვიტა მეტად ძნელი ამოცანა — შეექმნა ინტერნაციონალური ნაწარმოები, რომელშიც მკაფიოდ არის გამოხატული ეროვნული კოლორიტი, რაც მხოლოდ დიდ ოსტატს ძალუძს.

რუსეთის სფსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ კარენ ხაჩატურიანმა განაცხადა, რომ სიმფონიამ ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა მასზე. ამ სიმფონიაში, თქვა კ. ხაჩატურიანმა, კომპოზიტორმა მეტად საინტერესოდ გამოიყენა ახალი მუსიკალური საშუალებანი, ამასთან გამოიყენა თავისებურად, შემოქმედებითად, ორიგინალურად. სიმფონიაში არის საოცრად ლამაზი მუსიკალური ფურცლები. ამ ნაწარმოებში ქართული მიწის სურნელება იგრძნობა. მეორე სიმფონია დიდი მიღწევაა ჩემი მეგობრის დავით თორაძისა, რომელმაც დიდი ნაბიჯი გადადგა თავისი შემოქმედების გზაზე. მოხარული ვარ, რომ ეს ნაწარმოები შესრულდა აქ, მოსკოვში.

სტანისლავსკისა და ნემიროვიჩ-დანჩენკოს სახელობის მუსიკალური თეატრის დირექტორმა, რუსეთის სფსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ვ. ჩაიკოვსკიმ დავით თორაძეს უწოდა კომპოზიტორი, რომელიც „მეტად ხატოვნად აზროვნებს ორკესტრში“. მეორე სიმფონია საინტერესო, ბრწყინვალე, ნიჭიერად დაწერილი ნაწარმოებია, თქვა მან. ამიტომაც ესოდენ წარმატებით შესრულდა იგი დღეს. მე მეოცნია, რომ მუსიკის ფონზე შეიძლება მეტად საინტერესო სპექტაკლი შეიქმნას.

აი რას ფიქრობენ მეორე სიმფონიასა და მის ავტორზე ამ ნაწარმოების შემსრულებელნი.

ესტონელი დირიჟორი ნეემე იარვი:

— დავით თორაძე შესანიშნავი მუსიკოსი და შესანიშნავი კომპოზიტორია. მე სიამოვნებით ვმუშაობდი ორკესტრთან ერთად მის ახალ ნაწარმოებზე, სიამოვნებით ვუდირიჟორებ მას. მეორე სიმფონია დიდმნიშვნელოვანი მოვლენაა მთელი საბჭოთა მუსიკისათვის და, მოხარული ვარ, რომ მე წილად მხვდა ბედნიერება შემესრულებინა იგი. იმედი მაქვს, რომ ეს სიმფონია დიდხანს დარჩება ჩემს რეპერტუარში და მას შევასრულებ ჩვენი მრავალფეროვანი სამშობლოს ყველა კუთხეში.

მუსიკოს - შემსრულებელთა სრულიად რუსეთის კონკურსის ლაურეატი, ორკესტრის სოლისტი, კონცერტმაისტერი ა. ფუტერი:

— ავტორი! საუცხოოდ ფლობს ორკესტრის პალიტრას, კარგად გამოიყენა ორკესტრის ყველა ინსტრუმენტი, და ჩვენ მუსიკოსებს, მისი სიმფონიის შესრულებამ დიდი სიამოვნება მოგვგვარა. ვფიქრობ, რომ დ. თორაძის ეს ნაწარმოები, რომელიც პირველად მოსკოვში შევასრულეთ, ღირსეულ ადგილს დაიკავებს სიმფონიური ორკესტრების რეპერტუარში. დ. თორაძის მეორე სიმფონიის წარმატებით შესრულება ჩვენი სამშობლოს დედაქალაქში კიდევ ერთხელ მოწმობს ქართული მუსიკალური კულტურის აყვავებას, რესპუბლიკის კომპოზიტორთა შემოქმედების ზრდას, რომლებიც ემზადებიან ღირსეულად შეხვდნენ სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავს.

(საქინფორმის კორ.).



ᲒᲣᲜᲔᲑᲐ ᲘᲝᲕᲘᲫᲔᲑᲡ. ფოტოტიუდი ბ. ჯაველისა.

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘᲡ ᲬᲘᲜ

ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘᲡ ᲬᲘᲜ

დაგტკიცებულია მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების კალენდარი ჰოკეიში. როგორც ცნობილია, წელს ეს პირველობები ჩეხოსლოვაკიაში გაიმართება ორ წრად 7-დან 22 აპრილამდე.

აი პირველი წრის მატჩების განრიგი:

7 აპრილს — ჩეხოსლოვაკია-შვეიცარია, სსრ კავშირი-გფრ, 8 აპრილს — შვეიცარია-შვეცია, გფრ-ფინეთი, 9 აპრილს — შვეცია-ჩეხოსლოვაკია, ფინეთი-სსრ კავშირი, 10 აპრილს — ჩეხოსლოვაკია-გფრ, სსრ კავშირი-შვეიცარია, 11 აპრილს — გფრ-შვეცია, შვეიცარია-ფინეთი, 12 აპრილს — ჩეხოსლოვაკია-სსრ კავშირი, ფინეთი-შვეცია, 13 აპრილს — შვეიცარია-გფრ, 14 აპრილს — ფინეთი-ჩეხოსლოვაკია, შვეცია-სსრ კავშირი.

„ᲑᲐᲚᲘᲐᲚᲣᲙᲐ-72“

იუგოსლავიის ამ პატარა ქალაქში დიდი საჰადრაკო ასპარეზობა ეწყობა, რომელშაც, ორგანიზატორების აზრით, საპატიო ადგილი უნდა დაიჭიროს წლევანდელ სვეტოზრმა.

გროსმაისტერთა ტურნირში მიწვეულნი არიან მ. ტალი, ლ. პოლუგაევსკი, ბ. ლარსენი (დანია), ლ. პორტიში (უნგრეთი), ვ. პორტი (ჩეხოსლოვაკია), ბ. ფრინგოვი (ბულგარეთი), უ. ანდერსონი (შვეიცია), ს. ელიგორიჩი, ლ. ლიუბიევიჩი, ა. პლანინეცი (სამივე იუგოსლავია) და სხვები.

ნ ადგილი დაეთმობათ იუგოსლავიის ცნობილ ოსტატებს, რომელთაც ადგილობრივი საჰადრაკო ფედერაცია შეარჩევს.

ᲓᲘᲜᲐᲛᲝᲔᲚᲔᲑᲘ — ᲛᲔᲝᲗᲮᲔᲓᲤᲘᲜᲐᲚᲨᲘ

მატჩი თოვლით დაფარულ მოედანზე, ყინვასა და ქარბუქში

ᲑᲣᲨᲘᲜ თბილისის დინამოელებს სსრ კავშირის თასის მეორე მერვედფინალური შეხვედრა ჰქონდათ ყარაგანდაში ფეხბურთელთა ადგილობრივ გუნდთან — „შახტიორთან“. ვვიან დაგვაკავშირეს ტელეფონით მეშახტეთა ამ ქალაქს. როგორც ყარაგანდის პირველი საავადყოფოს უფროსი ექიმის მოადგილემ გ. ᲯᲐᲤᲐᲠᲘᲫᲔᲛ გვაცნობა, საფეხბურთო მოედანი თოვლით იყო დაფარული, ყინვა მინუს 10 გრადუსამდე აღწევდა, მძვინვარებდა ქარბუქი. ასეთ ამინდში, რა თქმა უნდა, ძნელი იყო თამაშიც და მაყურებლის როლში ყოფნაც. მიუხედავად ამისა გულშემატკივართა რიცხვი ჩვეულებრივს აღემატებოდა, დინამოელებს ცოტა თაყვანისმცემლები როდი აღმოაჩნდათ.

მატჩი ისე დამთავრდა, რომ გოლი ვერ ვიხილეთ — 0:0. შეხვედრის საუკეთესო ფეხბურთელისათვის დაწესებული პრიზი გადაეცა მ. ხურცილავას.

დინამოელებს თბილისში პირველი მატჩი „შახტიორთან“ მოგებული ჰქონდათ 3:0, ამიტომ ისინი მეოთხედფინალში გავიდნენ.

„დინამოს“ შემადგენლობაში იყვნენ — სტეფანია, ძოძუაშვილი, ჭელიძე, ხურცილავა, პეტრიაშვილი, გავაშელი, კუტივაძე, მაჩაიძე, ყიფიანი, გ. ნოდია, ლ. ნოდია.

ᲙᲘᲓᲔᲕ ᲝᲠᲘ ᲛᲔᲠᲕᲔᲓᲤᲘᲜᲐᲚᲣᲠᲘ...

ᲑᲣᲨᲘᲜ გაიმართა მეორე მერვედფინალური მატჩები ფეხბურთში სსრ კავშირის თასზე.

ᲓᲝᲜᲘᲡ ᲠᲝᲡᲢᲝᲕᲨᲘ არმიის სასპორტო კლუბის გუნდის წინააღმდეგ იბრძოდა ჩვენი ქვეყნის ჩემპიონი კიევის „დინამო“. მატჩი ძირითად და დამატებით დროში დამთავრდა როსტოველთა სასარგებლოდ 1:0. პირველი შეხვედრა მოგებული ჰქონდათ დინამოელებს 1:0. საჭირო გახდა პენალტების სერია. პირველ ასეთ სერიაში მეტოქეებმა ოთხ-ოთხი ბურთი გაიტანეს, ანგარიში გახდა 5:5. მეორე სერიაში როსტოველებმა 5 ბურთი გაიტანეს, კიეველებმა — 4. საერთო ანგარიშით 10:9 წარმატება როსტოველებს ხვდათ. სსრ კავშირის ჩემპიონი — კიევის „დინამო“ გამოეთიშა თასს.

ᲓᲜᲔᲞᲠᲝ�პᲔᲢᲠᲝᲕᲡᲙᲨᲘ „დნეპრისა“ და მოსკოვის „ტორპედოს“ მატჩის შედეგია 1:0 „ტორპედოს“ სასარგებლოდ. ვინაიდან პირველი მატჩი ტორპედოელებს მოგებული ჰქონდათ 2:0, ამიტომ ისინი მეოთხედფინალში გავიდნენ.

ᲓᲦᲔ ტაშკენტში ერთმანეთს შეხვდებიან დედაქალაქის გუნდები „დინამო“ და ცსკა.

ᲕᲔᲢᲠᲝᲡᲘᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲥᲐᲠᲒᲔᲡᲘ...

ᲘᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲔᲜ საბჭოთა კავშირიდან დიდ ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში, რომელიც 19 მარტს სარაევოში იწყება.

ორგანიზატორებმა გამოაცხადეს, რომ ამ შეჯიბრებაში 16 გროსმაისტერი და ოსტატი ჩაებმება. მათ შორის იქნებიან გროსმაისტერები ვ. პორტი (ჩეხოსლოვაკია), რ. ბრაუნი (ავსტრალია), ლ. ლენდიელი (უნგრეთი), მ. მატულოვიჩი (იუგოსლავია), საერთაშორისო ოსტატები ვ. იანსა (ჩეხოსლოვაკია), დ. მინჩი, ე. ბუკიჩი, რ. ბოგდანოვიჩი (სამივე იუგოსლავიიდან).

დანარჩენი მონაწილეები შეირჩა სპეციალურ ტურნირში, რომელიც 11-13 მარტს სარაევოს საჰადრაკო კლუბმა მოაწყო.



ᲒᲣᲨᲘᲜ, ᲓᲦᲔᲡ

ᲒᲣᲨᲘᲜ ჩვენს რესპუბლიკაში იყო მზიანი, თბილი ამინდი. დასავლეთ საქართველოში აღინიშნა 18-20, აღმოსავლეთ საქართველოში 15-18 გრადუსი სითბო. გუშინ დღის 12 საათზე თბილისში იყო 12 გრადუსი სითბო.

ᲓᲦᲔᲡ, 17 მარტს, ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა უნალექოდ, დღისით 12-14, ღამით 1-3 გრადუსი სითბო.

ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘᲪ ცვალებადი მოღრუბლულობაა მოსალოდნელი, უმეტესად უნალექოდ, აღმოსავლეთის რაიონებში ნისლი, ბარში დღისით იქნება 9-14, ღამით ნული-5 გრადუსი სითბო, მთაში დღისით 3-8 გრადუსი სითბო, ღამით ნული-5 გრადუსი ყინვა.

ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲢᲔᲗᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ სამხრეთ რაიონებში მოსალოდნელია მცირე წვიმა, რიონის ხეობაში იქროლებს წამში 10-15 მეტრის სიძლიერის ქარი, ბარში დღისით იქნება 11-16, ღამით ნული-5 გრადუსი სითბო, მთაში დღისით 5-10 გრადუსი სითბო, ღამით 2 გრადუსი ყინვა — 3 გრადუსი სითბო.

ᲐᲕᲐᲠᲘᲐ ᲛᲝᲮᲓᲐ, ᲕᲘᲜ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲛᲜᲐᲨᲐᲕᲔ?

ᲓᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲣᲚᲐᲓ ᲛᲘᲔᲖᲦᲝ

ᲑᲖᲘᲐᲜ ღამით 9 იანვრის ქუჩაზე ზიგზაგებით მქროლავი მსუბუქი ავტომობილი გამოჩნდა. უეცრად ეს იყო, რომ მანქანას მთვრალმა შოფერი მართავდა. წესრიგის დაცველებმა ოპერატიულობა გამოიჩინეს და დროზე ჩამოსვეს მანქანის საჭოდან თბილისის № 6 სამშენებლო კანტორის კალატოზი ვლადიმერ დომიტრის-ძე სისაური.

მას მანქანის მართვის მოწმობა მოსთხოვეს. მაგრამ ასეთი დოკუმენტი მას არ აღმოაჩნდა. იგი მას ჯერ კიდევ ამ ორი წლის წინათ ჩამოართვეს.

თბილისის სახელმწიფო ავტოინსპექციის სადისკვალიფიკაციო კომისიაზე ვლადიმერ სისაურს წარსული დანაშაულიც გაახსენეს და 3 წლის ვადით აუკრძალეს მანქანის მართვა.

Ა. ᲨᲣᲒᲘᲗᲘᲫᲔ,
თბილისის სახელმწიფო ავტოინსპექციის აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილების უფროსი ინსპექტორი, მილიციის კაპიტანი.

ᲒᲐᲫᲓᲝᲡᲢᲝᲛᲐ ᲛᲝᲐᲡᲬᲠᲐ

ᲛᲘ ᲐᲒᲢᲝᲛᲝᲑᲘᲚᲘᲐ ლოთობის გამო მოხდა. გვანჯი გასს-ძე ჯახაია წალენჯიხის რაიონის დაბა ჯვარში ცხოვრობს და ენერგეტიკის მშენებლობის სამმართველოს № 3 ავტოსატრანსპორტო საწარმო სატვირთო ავტომობილზე მძღოლად მუშაობს. გ. ჯახაია ლაზის მოყვარულია. იმ დღესაც დათვრა და ბევრი არაფერი გაუკეთებია.

დაბა ჯვარის მახლობლად ენერგეტიკის კაშხალის მშენებლობის ტერიტორიაზე მთვრალ მძღოლს სატვირთო მანქანა ასი მეტრი სიმაღლიდან კლდეზე გადაუვარდა. საბედნიეროდ, თვითონ გადავარდნის მომენტში მანქანიდან ჯადოსტრომა მოასწრო, მაგრამ მაინც დაიმტვრა და საავადმყოფოში წაიყვანეს. დაილეწა სახელმწიფო ავტომანქანა...

Ბ. ᲒᲝᲠᲔᲚᲘ.

ᲮᲐᲜᲫᲠᲘᲡ ᲐᲠᲐᲔᲠᲗᲘ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐ ᲮᲓᲔᲑᲐ ᲣᲤᲝᲡᲘᲕᲔᲠᲛ ᲓᲐ ᲒᲐᲣᲡᲤᲝᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲒᲐᲣᲒᲐᲜᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲔᲥᲡᲞᲚᲝᲐᲢᲐᲪᲘᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ.

მოქალაქენო! ხანძრის თავიდან აცილების მიზნით ნუ გამოიყენებთ უწესივრო და გაუსწორებელ ელექტროდანადგარებს და გაყვანილობას.

ელგაყვანილობა უნდა აკმაყოფილებდეს ელექტროტექნიკურ ნორმებს და მოთხოვნილებებს, გაყვანილობის დახაცავად გამოიყენეთ მხოლოდ ქარხნებში დამზადებული დამცველები.

სსრ. სსრ შსს სახანძრო დაცვის სამმართველო, სსრ. ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოება.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ № 38 ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲘ

ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲗᲐ ᲛᲘᲦᲔᲑᲐᲡ 1971-72 ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲬᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ (ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲡᲔᲥᲢᲝᲠᲔᲑᲘ)

სასწავლებელი ამზადებს მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებს. **მიიღებიან რვა კლასსა და საშუალო განათლების მქონე გოგონები და ვაჟები.**

1. მექანიკურ-საამქროო სამუშაოთა ზეინკლის, 2. მეთუნუქე ზეინკლის, 3. მღარავის, 4. ლითონდამამუშავებელი ხარატის, 5. რეჟოლვერული ჩარხის ხარატის, 6. მტეიფრავის, 7. ამწყობი შემოქლონის, 8. სამრეწველო მოწყობილობათა შემკეთებელი ზეინკლის, 9. რადიომემონტაჟის, 10. სამრეწველო მოწყობილობის ელექტრომონტიორის, 11. თბო-და გაზის დანადგართა ექსპლოატაციისა და შემკეთებელი ზეინკლის, 12. საბაცერო დანადგართა ექსპლოატაციისა და შემკეთებელი ზეინკლის სპეციალობაზე.

სწავლების ვადა ერთი წელიწადია.

მოსწავლეები, რომელთაც ყველა სგანში აკადემიური წარმატება ექნებათ, უზრუნველყოფილი იქნებიან სტიპენდიით. წარჩინებით კურსდამთავრებულებს, რომელთაც საშუალო განათლება აქვთ, უფლება ეძლევათ ჩაირიცხონ უმაღლეს სასწავლებელში საღამოს, დაუსწრებელ ან დასწრებულ განყოფილებაზე უკონკურსოდ, ხოლო დღის დასწრებულზე — საერთო წესით. სწავლების პერიოდი ითვლება შრომით სტაჟად. საწარმოო პრაქტიკის გავლის დროს, გარდა სტიპენდიისა, შესრულებული სამუშაოები აუნაზღაურდებათ ფულად დადგენილი წესის შესაბამისად. ზემოაღნიშნულ პროფესიებზე ჩარიცხულ ჯარიდან დემობილიზებულთათვის სწავლების პერიოდი 5-6 თვეა.

მოსწავლეები უზრუნველყოფილი იქნებიან საერთო საცხოვრებლით, ჩარიცხულები სწავლების პერიოდში თავისუფლდებიან საბჭოთა არმიის რიგებში გაწვევისაგან.

განცხადება შეტანილ უნდა იქნას სასწავლებლის დირექტორის სახელზე შემდეგი საბუთების დართვით: 1. სიმწიფის ატესტატი (დედანი), ხოლო რვაკლასდამთავრებულთათვის — მოწმობა (დედანი), 2. დაბადების მოწმობა (ფოტოსანი), 3. ავტობიოგრაფია, 4. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, 5. ექვსი ფოტოსურათი (ზომით 3X4 სმ).

პასპორტი და სამხედრო ბილეთი ან მისაწერი მოწმობა წარდგენილ უნდა იქნას პირადად.

სწავლის დაწყების ვადებია: 10 მარტი, 15 აპრილი, 15 მაისი, განცხადების მიღება ყოველ 9-დან 5 საათამდე.

სასწავლებლის მისამართია: ქ. თბილისი, **26 კომისრის რაიონი, კომკავშირის მეორე ქ. № 22,** ტრამვაი 7, ავტობუსი 16 და 51. ტელეფონები -74-22-91, 74-08-24.

Ქ. ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ № 49 ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲘ

ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ